ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2223135

ნომერი: AR1345321

თარიღი : 29.09.2015

გაცემის თარიღი : 06.10.2015

გაცნობის თარიღი : 27.11.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იანა შატბერაშვილი პ/ნ 35001120330
- რუსთავი პ.თოდრიას I ჩიხი კორ. 3 ბ. 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ დაგეგმილი არსებულ შენობის რეკონსტრუქცია არ წარმოადგენს I კლასის რეკონსტრუქციას და განეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

ასევე გაცნობებთ, რომ ამავე მიწის ნაკვეთზე სამსახურში ფიქსირდება AR1332358 განაცხადება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე (არსებული შენობის რეკონსტრუქცია გაბარიტების უცვლელად ქვედა სართული შეივსება კედლებით სადაც მოეწყობა დარბაზი ჯაზ ფესტივალის თუ სხვა მუსიკალური ღონისძიებების გასამართად ხოლო მეორე სართულზე, ტერასაზე კვების ობიექტი სადაც მყუდრო გარემო იქნება ნებისმიერი დამსვენებლისთვის) იმისათვის, რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს საჭიროა პირველ რიგში დადგინდეს მიწის ნა . აღნიშნულისათვის, კი საჭიროა ჯერ დადგინდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შემდგომ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 15, 16, 17-ისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების მუხლი 47-ის გათვალისწინებით შესრულებული .

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.